# ვიდეომონიტორინგისა და
# აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი

**2024**

# სარჩევი


1. შესავალი ..... 3

2. ტერმინთა განმარტება ..... 3

3. ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი ..... 4

3.1. ვიდეომონიტორინგის მიზანი და საფუძველი ..... 4
3.2. ვიდეომონიტორინგის მოცულობა ..... 4
3.3. ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა და ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა ..... 5
3.4. ვიდეოჩანაწერის შენახვის წესი და მასზე წვდომა ..... 5
3.5. ვიდეოჩანაწერის განადგურების წესი ..... 6

4. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები ..... 6

4.1. ვიდეომონიტორინგის შესახებ გაფრთხილება ..... 6
4.2. სამუშაო ადგილის ვიდეომონიტორინგი ..... 7
4.3. მონაცემთა სუბიექტის უფლებები ..... 7

5. ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისათვის გამჟღავნება ..... 8

6. აუდიომოტორინგის განხორციელების წესი ..... 10

6.1. აუდიომონიტორინგის მიზანი და საფუძველი ..... 10
6.2. აუდიომონიტორინგის ხანგრძლივობა და ჩანაწერის შენახვის ვადა ..... 10
6.3. აუდიოჩანაწერის შენახვის წესი და მასზე წვდომა ..... 10
6.4. აუდიოჩანაწერის განადგურების წესი ..... 11

7. ინციდენტზე რეაგირების წესი ..... 11

დანართი №1 ..... 11

დანართი №2 ..... 12

## 1. შესავალი

წინამდებარე ვიდეომონიტორინგისა და აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი (შემდგომში მოხსენიებული როგორც „პროცედურა“) განსაზღვრავს ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ (შემდგომში მოხსენიებული როგორც „ბოტანიკური ბაღი“ ან “დაწესებულება”) მიერ დაწესებულების წინამდებარე წესით განსაზღვრულ სივრცეებში ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესს, ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადასა და წესს, ვიდეოჩანაწერზე წვდომისა და განადგურების წესს, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციას. გარდა ამისა, წინამდებარე პროცედურით რეგულირებულია აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი, აუდიოჩანაწერის შენახვის ვადა და წესი, აუდიოჩანაწერზე წვდომისა და განადგურების წესი.

## 2. ტერმინთა განმარტება

ამ დოკუმენტის მიზნებისთვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

**პერსონალური მონაცემი (შემდგომში მოხსენიებული როგორც - მონაცემი)** – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.

**მონაცემთა დამუშავება** – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, ვიდეომონიტორინგი, აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით.

**მონაცემთა სუბიექტი** – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება.

**ვიდეომონიტორინგი** – დაწესებულების მიერ ქალაქ თბილისში, ბოტანიკურის #1-ში განთავსებული ადმინისტრაციული შენობის გარე პერიმეტრზე, ასევე ბაღის ტერიტორიაზე განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა.

**ვიდეომონიტორინგის სისტემა** - სივრცის ვიზუალური მონიტორინგისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა.

**აუდიომონიტორინგი** - დაწესებულების მიერ განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ხმოვანი სიგნალის მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, აუდიოკონტროლი ან/და აუდიოჩაწერა.

**დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი/დაწესებულება** - ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი“ - დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს და უშუალოდ ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

**სამუშაო ადგილი** - დაწესებულების კერძო სივრცე, სადაც დაწესებულებაში დასაქმებული პირები უშუალოდ ახორციელებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებას (მაგალითად, სამუშაო ოთახი, საკონფერენციო/შეხვედრების ოთახი, ხოლო წინამდებარე წესის მიზნებისთვის - ბაღის ტერიტორია).

**წვდომაზე უფლებამოსილი პირი** - დაწესებულების ხელმძღვანელი პირის მიერ შიდა აქტით განსაზღვრული პირი, რომელსაც წარმოეშობა ვიდეო ჩანაწერებზე ან/და აუდიოჩანაწერებზე წვდომის უფლება და გააჩნია საკუთარი ანგარიში სისტემაში შესასვლელად და ვიდეოჩანაწერზე/აუდიოჩანაწერზე წვდომის მისაღებად.

**ინციდენტი** – მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას.

## 3. ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

### 3.1. ვიდეომონიტორინგის მიზანი და საფუძველი

ვიდეომონიტორინგს ექვემდებარება ადმინისტრაციული შენობის გარე პერიმეტრი, ბაღის ტერიტორია, რომელიც ზოგიერთი თანამშრომლისთვის წარმოადგენს სამუშაო სივრცეს. დეტალურად ვიდეოკამერების რაოდენობა, მათ ადგილმდებარეობა და განთავსების ადგილი განისაზღვრება წინამდებარე პროცედურის დანართი N2-ით.

ვიდეომონიტორინგი ხორციელდება შემდეგი მიზნის მისაღწევად:

- პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა.
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

### 3.2. ვიდეომონიტორინგის მოცულობა

ბოტანიკური ბაღი ახორციელებს ვიდეომონიტორინგს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული და წინამდებარე პროცედურის 3.1. პუნქტით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

ბოტანიკური ბაღის მიერ ხორციელდება მხოლოდ იმ სივრცის მონიტორინგი, სადაც არსებობს პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საფრთხე და არ ხორციელდება და არ უნდა განხორციელდეს ისეთი სივრცის ზედამხედველობა, სადაც მსგავსი საჭიროება არ არსებობს.

ბოტანიკური ბაღის შეფასებით, ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ვიდეომონიტორინგის გარდა სხვა საშუალებით და ვიდეომონიტორინგი წარმოადგენს მიზნის მისაღწევად ეფექტურ და პროპორციულ საშუალებას.

## 3.3. ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა და ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა

ვიდეომონიტორინგი ხორციელდება 24 სააათის განმავლობაში, კვირაში 7 დღის მანძილზე.

დაწესებულება ახორციელებს ვიდეოჩანაწერის შენახვას 30 (ოცდაათი) დღის ვადით, რის შემდეგაც ვიდეოჩანაწერი იშლება ავტომატურად.

## 3.4. ვიდეოჩანაწერის შენახვის წესი და მასზე წვდომა

ვიდეომონიტორინგის სისტემაზე (DVR მოწყობილობა, მონიტორები და სხვა) რეალურ რეჟიმში, მონიტორზე არსებული ვიდეოგამოსახულების წვდომაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ: ბოტანიკური ბაღის დირექტორი, დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების უფროსი და დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების ვიდეომონიტორინგის სისტემის მორიგე ოპერატორი.

ვიდეომონიტორინგის შედეგად განხორციელებულ ვიდეოჩანაწერებზე წვდომაზე (დათვალიერებაზე) უფლებამოილ პირებს წარმოადგენენ: ბოტანიკური ბაღის დირექტორი, დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების უფროსი.

ვიდეომონიტორინგის შედეგად განხორციელებულ ვიდეოჩანაწერებზე სათანადო ქმედებების განმახორციელებელ უფლებამოსილ პირს წარმოდგენს ბოტანიკური ბაღის დირექტორი.

დაუშვებელია სისტემაზე წვდომა მიენიჭოს ისეთ პირს, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე პუნქტით.

ბოტანიკური ბაღი უზრუნველყოფს ვიდეომონიტორინგის სისტემის ფიზიკურ უსაფრთხოებას, კერძოდ, ვიდეომონიტორინგის სისტემა, მისი ტექნიკური აღჭურვილობა (DVR მოწყობილობა, მონიტორები და სხვა) განთავსებულია დაცულ ოთახში, სადაც დაიშვებიან მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირები.

ვიდეოჩანაწერები კომპანიის მიერ ინახება სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში, რომელზეც წვდომა ხორციელდება მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიერ ანგარიშზე მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანის საშუალებით.

ვიდემონიტორინგის სისტემაში არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება აღირიცხება, ისე, რომ შესაძლებელია მონაცემთა მიმართ განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება. კერძოდ, ელექტრონულად აღირიცხება (ე. წ. „ლოგირება“) ვინ და როდის დაათვალიერა, გადაახვია, გადმოწერა, წაშალა და ა. შ. ვიდეოჩანაწერი.

ვიდეოჩანაწერზე წვდომა ვერ განხორციელდება გარე მოწყობილობებიდან და წვდომის მქონე სუბიექტი წვდომის მოსაპოვებლად ვალდებულია შევიდეს მხოლოდ დაწესებულების შიდა სისტემიდან.

ვირუსებისგან დაცვის მიზნით დაწესებულება იყენებს ანტივირუსულ სისტემას და დაცვის სხვა ტექნოლოგიურ საშუალებებს ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით.

ჩამწერი სისტემის ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიის IT სამსახურს, რათა მოხდეს ხარვეზზე დროული რეაგირება.

უფლებამოსილი პირი, რომელიც პასუხისმგებელია ვიდეოჩაწერის პროცესის მონიტორინგზე ვალდებულია რეგულარულად შეამოწმოს:

- მიმდინარეობს თუ არა უწყვეტი ვიდეომონიტორინგი;
- ვიდეო კამერაზე მითითებული თარიღი/დრო შეესაბამება თუ არა რეალურ დროს.

თუ არსებობს იმის ეჭვი, რომ სისტემა დაზიანებულია/არსებობს სისტემაში მესამე პირთა შემოღწევის ფაქტი ან სხვაგვარად პერსონალური მონაცემების უკანონო ხელყოფის ალბათობა, უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოახდინოს აღნიშნულ ფაქტზე რეაგირება დაწესებულებაში მოქმედი ინციდენტზე რეაგირების წესის შესაბამისად.

### 3.5. ვიდეოჩანაწერის განადგურების წესი

ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადის ამოწურვისთანავე ვიდეოჩანაწერი იშლება ავტომატურად. აღნიშნული ჩანაწერის აღდგენა ან სხვაგვარად მასზე წვდომის მოპოვება მისი წაშლის შემდეგ ტექნიკურად შეუძლებელია.

## 4. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები

### 4.1. ვიდეომონიტორინგის შესახებ გაფრთხილება

დაწესებულებას განთავსებული აქვს ვიდეომონიტორინგის ნიშანი იმ სივრცეში, სადაც მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი. აუცილებელია ვიდეომონიტორინგის ნიშანი განთავსდეს ყველა იმ სივრცეში, საიდანაც ხორციელდება ვიდეომონიტორინგი და დამონტაჟებულია შესაბამისი ვიდეოკამერა.

ვიდეომონიტორინგის გამაფრთხილებელი ნიშანი თავსდება ქართულ ენაზე და შეიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- გაფრთხილებას ვიდეომონიტორინგის განხორციელების თაობაზე;
- ინფორმაციას, რომ ვიდეომონიტორინგი ხორციელდება ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ მიერ;
- ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ საკონტაქტო მონაცემებს.

ამასთან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დაწესებულება ვალდებულია ზემოაღნიშნული ფორმით განათავსოს ვიდეომონიტორინგის თაობაზე გამაფრთხილებელი ნიშანი 2024 წლის 01 მარტიდან,

ხოლო აღნიშნულ თარიღამდე განთავსებულ ნიშნებზე არ ვრცელდება პირის ვინაობისა და საკონტაქტო მონაცემების განთავსების ვალდებულება. შესაბამისად, დაწესებულება განახორციელებს მისი ვინაობისა და საკონტაქტო მონაცემების დატანას მხოლოდ იმ ვიდეომონიტორინგის გამაფრთხილებელ ნიშანზე, რომელიც განთავსდება 2024 წლის 01 მარტიდან, ხოლო ამ თარიღამდე განთავსებული ნიშნები დარჩება უცვლელი.

## 4.2. სამუშაო ადგილის ვიდეომონიტორინგი

ბოტანიკური ბაღი ახორციელებს სამუშაო ადგილის ვიდეომონიტორინგს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია წინამდებარე პროცედურით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, კერძოდ, ვიდეომონიტორინგი ხორციელდება ბაღის ტერიტორიაზე, რომელიც ზოგიერთი თანამშრომლებისთვის (მაგალითად, მებაღე) წარმოადგენს სამუშაო სივრცეს.

ბოტანიკური ბაღი არ ახორციელებს ისეთი სივრცის მონიტორინგს, რომელიც არ არის აუცილებელი ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, ასევე სადაც დასაქმებული პირი ახორციელებს არასამსახურებრივ აქტივობებს.

ბოტანიკური ბაღი არ ახორციელებს ვიდეოკონტროლს თანამშრომელთა სამუშაოს შესრულებისა და შინაგანაწესის დაცვის კონტროლის მიზნით.

პერსონალურ მონაცემთა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებების დაცვა გარანტირებულია ბოტანიკური ბაღის მხრიდან. შესაბამისად, სამუშაო ადგილზე ვიდეომონიტორინგის დროს კომპანია უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და დასაქმებულთა პირადი ცხოვრების უფლების დაცვას.

ბოტანიკური ბაღი ახორციელებს დასაქმებული პირებისათვის ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას წერილობითი ფორმით, კერძოდ, დასაქმებულთათვის დანართი N1-ს გაცნობით, რომელიც დასტურდება მათი ხელმოწერით.

ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესში ნებისმიერი ცვლილების შეტანისას, ბოტანიკური ბაღი განახორციელებს განახლებული წესების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას დასაქმებული პირებისათვის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინებებით ან შესაბამის ელექტრონულ სისტემაში დასაქმებულისთვის სამართლებრივი აქტის გადაწერის გზით.

## 4.3. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია მის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

- მოითხოვოს ვიდეოჩანაწერის ასლი;
- მოითხოვოს ინფორმაცია მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;

- მოითხოვოს ინფორმაცია, მოხდა თუ არა მისი მონაცემების გადაცემა, მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას;

- მოითხოვოს ინფორმაცია მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;

- მოითხოვოს მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება.

- სათანადო საფუძვლის არსებობისას მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება.

- სათანადო საფუძვლის არსებობისას მოითხოვოს მონაცემთა დაბლოკვა.

- ნებისმიერ დროს ხელახლა მოითხოვოს ინფორმაცია ვიდეომონიტორინგის განმახორციელებელი პირის, ვიდეომონიტორინგის მიზნის და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ;

- უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

## 5. ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისათვის გამჟღავნება

დაწესებულების მიერ შენახულ ვიდეოჩანაწერებზე წვდომა, მათი დათვალიერება და რიგ შემთხვევებში, მესამე პირებისთვის გადაცემა შეიძლება გახდეს აუცილებელი, თუ არსებობს ეჭვი, რომ ვიდეოჩანაწერზე ასახულია დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის ფაქტი, მისი დათვალიერების ინტერესი უჩნდება საქმის მწარმოებელ ორგანოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების მიზნებისთვის.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემით შეუძლია ისარგებლოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ პირს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში ვიდეო ჩანაწერების საგამოძიებო ორგანოსთვის გამჟღავნებისას დაწესებულება ვალდებულია:**

- ვიდეოჩანაწერის გადაცემამდე მოითხოვოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისგან **სასამართლოს განჩინება ან/და პროკურორის დადგენილება** ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე. დაწესებულების მხრიდან დაუშვებელია ჩანაწერის გადაცემა, თუ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენოს წარმომადგენელმა ვიდეომონიტორინგის განმახორციელებელ დაწესებულებას არ წარუდგინა მსგავსი დოკუმენტი;

- არ მისცეს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს ვიდეოჩანაწერის დათვალიერების უფლება **სასამართლოს განჩინების ან/და პროკურორის დადგენილების** გარეშე;
- დარწმუნდეს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლს გადასცემს აღნიშნულ დოკუმენტებში მითითებული პერიოდის ჩანაწერს და გადაცემული ჩანაწერის ხანგრძლივობა არ აჭარბებს განჩინებით/დადგენილებით განსაზღვრულ პერიოდს;
- არ გადასცეს სამართალდამცავ ორგანოს ისეთი ვიდეოჩანაწერი, რომელიც არ არის მითითებული **სასამართლოს განჩინებაში ან/და პროკურორის** დადგენილებაში. დარწმუნდეს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლს გადასცემს აღნიშნულ დოკუმენტებში მითითებული პერიოდის ჩანაწერს და გადაცემული ჩანაწერის ხანგრძლივობა არ აჭარბებს განჩინებით/დადგენილებით განსაზღვრულ პერიოდს;
- არ მისცეს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლს იმ პერიოდის ჩანაწერების დათვალიერებისა და გადახვევის უფლება, რაც არ არის მითითებული სასამართლოს განჩინებაში ან/და პროკურორის დადგენილებაში. ასევე, დაუშვებელია ამ ჩანაწერებიდან კონკრეტული გამოსახულების ამსახველი მონაკვეთების ფოტოგადაღება ან/და ვიდეოგადაღება მობილური ტელეფონისა თუ სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ფარგლებში ჩანაწერების ადმინისტრაციული (მათ შორის, საგამოძიებო) ორგანოსთვის გამჟღავნებისას დაწესებულება ვალდებულია:

- გადაამოწმოს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვიდეო ჩანაწერის გამოთხოვის შესახებ წარდგენილია ოფიციალური წერილობითი მიმართვა, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით;
- გადაამოწმოს, რომ ოფიციალურ წერილობით მოთხოვნაში მითითებულია ვიდეო ჩანაწერის გამოთხოვის სამართლებრივი საფუძველი (მიზეზი, მიზანი) და ინფორმაცია ჩანაწერის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ფარგლებში მტკიცებულებად საჭიროების თაობაზე;
- გადაამოწმოს, რომ ოფიციალურ წერილობით მოთხოვნაში მითითებულია ჩანაწერის საჭირო პერიოდი.
- დაფაროს ისეთი მესამე პირების გამოსახულება, რომელთა იდენტიფიცირებაც არ არის აუცილებელი ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად.

დაწესებულება ვალდებულია ზემოაღნიშნულ შემთხვევებში აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია:

- რომელი ჩანაწერის გამჟღავნება მოხდა (რომელ თარიღში გადაღებული და რა პერიოდის ამსახველი ჩანაწერის გამჟღავნება განხორციელდა).
- ვისთვის მოხდა ჩანაწერის გამჟღავნება.
- ჩანაწერის გამჟღავნების თარიღი.
- ჩანაწერის გამჟღავნების სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ვიდეოჩანაწერის მესამე პირისთვის გამჟღავნების მიზნით ამოღების შემდეგ, აღნიშნული მონაცემების შენახვა ხდება სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ კომპიუტერში, რომელიც დაცულია IT სპეციალისტის სამუშაო ოთახში. აღნიშნული მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. წინამდებარე პუნქტით

განსაზღვრული მონაცემების შენახვის ვადა განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ არა უმეტეს ამოღების მიზნების შესრულების ვადისა. აღნიშნული ვადის ამოწურვისთანავე, მონაცემები იშლება მომდევნო სამუშაო დღეს შესაბამისი პირის მიერ.

## 6. აუდიომოტორინგის განხორციელების წესი

### 6.1. აუდიომონიტორინგის მიზანი და საფუძველი

აუდიომონიტორინგს ექვემდებარება მხოლოდ ბოტანიკური ბაღის დასაქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გამართული ზეპირი მოსმენის სხდომის საოქმო ჩანაწერის წარმოება.

აუდიომონიტორინგი ხორციელდება შემდეგი საფუძვლით:

- ლეგიტიმური ინტერესი;
- მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გამართული ზეპირი მოსმენის სხდომის აუდიოჩანაწერის გაკეთების მიზანია შრომითი კანონმდებლობით განსაზღვრული მხარეთა უფლებების დაცვა.

აუდიოჩანაწერის განხორციელებამდე დაწესებულება ახორციელებს სათანადო ფორმით მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას იმის თაობაზე, რომ ზეპირი მოსმენის სხდომა იწერება, შესაბამისად, იგი უფლებამოსილია განაცხადოს თანხმობა აუდიომონიტორინგზე კონკლუდენტური მოქმედებით (განხილვაში მონაწილეობის მიღება) ან უარი განაცხადოს ზეპირსიტყვიერად, რასაც სხდომის ოქმში აღნიშნავს სხდომის ჩატარებაზე უფლებამოსილი პირი და ასეთ შემთხვევაში, აუდიომონიტორინგი შეწყდება დაუყოვნებლივ.

### 6.2. აუდიომონიტორინგის ხანგრძლივობა და ჩანაწერის შენახვის ვადა

აუდიომონიტორინგი ხორციელდება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ზეპირი მოსმენის სხდომის მიმდინარეობისას.

დაწესებულება ახორციელებს აუდიოჩანაწერის (საოქმო ჩანაწერის) შენახვას მიღებული გადაწყვეტილების (ბრძანების) გასაჩივრებისთვის განსაზღვრული ვადით, რის შემდეგაც აუდიოოჩანაწერი ნადგურდება წინამდებარე პროცედურის 6.4 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

### 6.3. აუდიოჩანაწერის შენახვის წესი და მასზე წვდომა

საოქმო ჩანაწერის გაკეთების მიზნით განხორციელებულ აუდიოჩანაწერებზე წვდომისა და სათანადო ქმედებების განმახორციელებელი პირები/უფლებამოსილი პირები განისაზღვრება ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის შიდა აქტით. დაუშვებელია სისტემაზე წვდომა მიენიჭოს ისეთ პირს, რომელიც არ არის განსაზღვრული აღნიშნული აქტით.

დაწესებულება უზრუნველყოფს აუდიოჩანაწერის დაცვას, იმგვარად, რომ მასზე წვდომა ხორციელდება მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიერ ელექტრონულ მოწყობილობაზე მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანის საშუალებით.

### 6.4. აუდიოჩანაწერის განადგურების წესი

აუდიოჩანაწერის შენახვის ვადის ამოწურვისთანავე კომპანიის უფლებამოსილი თანამშრომელი ანადგურებს აუდიოჩანაწერს ელექტრონული მოწყობილობიდან მისი წაშლის გზით. აღნიშნული ჩანაწერის აღდგენა ან სხვაგვარად მასზე წვდომის მოპოვება მისი წაშლის შემდეგ ტექნიკურად შეუძლებელია.

## 7. ინციდენტზე რეაგირების წესი

ინციდენტზე რეაგირება უნდა მოხდეს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის საფუძველზე შემუშავებული, „ინციდენტზე რეაგირების წესით" დადგენილი წესის შესაბამისად.

# დანართი №1

**დასაქმებულის ინფორმირება სამუშაო ადგილზე ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობისა და მისი უფლებების შესახებ**

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის" მიერ, ქალაქ თბილისში, ბოტანიკურის ქ. N1-ში მდებარე ბაღის ტერიტორიაზე, მიმდინარეობს ბაღის სრული პერიმეტრის ვიდემონიტორინგი. თქვენი პოზიციიდან და თანამდებობრივი ინსტრუქციიდან გამომდინარე, ავტომატურად, 24 საათიან რეჟიმში ხორციელდება თქვენი სამუშაო ადგილის ვიდემონიტორინგიც. ვიდემონიტორინგის მიზანია თქვენი უსაფრთხოების, ბოტანიკური ბაღის საკუთრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

თქვენ სარგებლობთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებით. კერძოდ, უფლება გაქვთ:

- მოითხოვოთ ვიდეოჩანაწერის ასლი;
- მოითხოვოთ ინფორმაცია მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;
- მოითხოვოთ ინფორმაცია, მოხდა თუ არა თქვენი მონაცემების გადაცემა, მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას;

- მოითხოვოთ ინფორმაცია მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;
- მოითხოვოთ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება;
- სათანადო საფუძვლის არსებობისას მოითხოვოთ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება;
- სათანადო საფუძვლის არსებობისას მოითხოვოთ მონაცემთა დაბლოკვა;
- ნებისმიერ დროს ხელახლა მოითხოვოთ ინფორმაცია ვიდეომონიტორინგის განმახორციელებელი პირის, ვიდეომონიტორინგის მიზნის და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ;
- თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

დასაქმებულის ხელმოწერა:
/სახელი, გვარი/
თარიღი:

## დანართი №2

### ვიდეოკამერების დაწესებულების სივრცეში განთავსების შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ მიერ ხორციელდება ქალაქ თბილისში, ბოტანიკურის ქ. N1-ში, მდებარე ორი სივრცის ვიდემონიტორინგი, კერძოდ:

1. ადმინისტრაციული შენობის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული გარე სივრცის ვიდეომონიტორინგის სისტემა შედგება 3 (სამი) ვიდეო კამერისაგან და ვიდეო ჩამწერი მოწყობილობისაგან.

2. ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე დამონტაჟებული გარე სივრცის ვიდეომონიტორინგის სისტემა შედგება 42 (ორმოცდაორი) ვიდეო კამერისაგან და ვიდეო ჩამწერი მოწყობილობისაგან.